ბრძანება

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ში ლიტერატურული კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში - ,,მაუწყებელი“) დებულების, მაუწყებლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკისა და ახალი და მიმდინარე ამბების რედაქციის მიმდინარე თემებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების ბლოკის უფროსის თამარ გუდავას 2026 წლის 30 ოქტომბრის N02-26/2499 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ში გამოცხადდეს ლიტერატურული კონკურსი 2026 წლის 02 ნოემბრიდან 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

2.დამტკიცდეს **სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ლიტერატურული კონკურსის დებულება,** წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.

3.ლიტერატურული კონკურსის ორგანიზება დაევალოს მაუწყებლის ახალი და მიმდინარე ამბების რედაქციის, მიმდინარე თემებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების ბლოკის უფროსს.

4.წინამდებარე ბრძანება განთავსდეს მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

5.წინამდებარე ბრძანება გაცნობისა და აღსრულების მიზნით დაეგზავნოს მაუწყებლის ფინანსებისა და ადმინისტრაციის სამსახურსა და მედიაწარმოებისა და გავრცელების სამსახურს.

6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი გასაჩივრება დაინტერესებულ პირს შეუძლია გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
დირექტორის 2026 წლის 30 ოქტომბრის N02-09/71 ბრძანების
დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ლიტერატურული კონკურსის დებულება

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

1.1. ლიტერატურული კონკურსი ცხადდება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში - ,,მაუწყებელი“) დილის გადაცემა „ახალი დილის“ ინიციატივით და ეძღვნება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემიდან 150 წლისთავს.

1.2. კონკურსის მიზანია ქართული ენის, როგორც ეროვნული კულტურის, ისტორიული მეხსიერებისა და იდენტობის უმნიშვნელოვანესი საფუძვლის, პოპულარიზაცია; ქართული სიტყვისადმი სიყვარულის გაძლიერება და ლიტერატურული შემოქმედების წახალისება.

1.3. კონკურსი მიზნად ისახავს:

ა) ქართული ენის მნიშვნელობის წარმოჩენას თანამედროვე საზოგადოებაში;

ბ) ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას;

გ) ქართული ენის მრავალფეროვნების წარმოჩენას;

დ) ქართული ლიტერატურისა და წიგნიერების პოპულარიზაციას;

ე) ახალი ავტორების აღმოჩენასა და მათი შემოქმედების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას;

ვ) ქართული სიტყვის და თაობათაშორისი მეხსიერების მნიშვნელობის წარმოჩენას.

1.4. კონკურსი ეფუძნება სამართლიანობის, თანასწორობის, შემოქმედებითი თავისუფლების, გამჭვირვალობისა და საავტორო უფლებების დაცვის პრინციპებს.

მუხლი 2. მონაწილეობის უფლება

2.1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც იზიარებს კონკურსის მიზნებსა და პირობებს.

2.2. კონკურსი ღიაა როგორც დამწყები ავტორებისთვის, ისე ლიტერატურული გამოცდილების მქონე ახალგაზრდა მონაწილეებისთვის.

2.3. მონაწილეები განაწილდებიან შემდეგ ასაკობრივ კატეგორიებში:

ა) I კატეგორია - ბავშვები: 11-14 წელი;

ბ) II კატეგორია - მოზარდები: 15-18 წელი.

2.4. ასაკი განისაზღვრება კონკურსში განაცხადის წარდგენის ბოლო დღის მდგომარეობით.

2.5. არასრულწლოვანი მონაწილის განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

2.6. კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

მუხლი 3. კონკურსის მიმართულებები

3.1. კონკურსში ნამუშევრები მიიღება შემდეგი მიმართულებებით:

ა) პოეზია

ბ) პროზა (მოთხრობა, ესსე, ნოველა, ზღაპარი, იგავ-არაკი და მინიატურა).

3.2. ორგანიზატორები უფლებამოსილნი არიან, მონაწილეთა რაოდენობისა და წარმოდგენილი ნამუშევრების თავისებურებების გათვალისწინებით, დამატებით გამოყონ სპეციალური ნომინაციები.

მუხლი 4. ტექნიკური და შემოქმედებითი პირობები

4.1. კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევარი უნდა იყოს მონაწილის ორიგინალური შემოქმედება.

4.2. ნამუშევარი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

4.3. თითოეული მონაწილის მიერ დასაშვებია არაუმეტეს სამი ნამუშევრის წარდგენა.

4.4. ნამუშევარი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით, Word-ის ან PDF-ის დოკუმენტის სახით.

4.5. ნამუშევარი არ უნდა არღვევდეს სხვა პირის საავტორო უფლებებს, არ უნდა შეიცავდეს პლაგიატს ან სხვისი ნაწარმოების მითვისებას.

4.6. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით სრულად გენერირებული ნაწარმოები კონკურსში არ დაიშვება. დამხმარე ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ ნაწარმოების შინაარსი და შემოქმედებითი არსი თავად ავტორის ნამუშევარია. ორგანიზატორებს შეუძლიათ მოითხოვონ გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება.

4.7. კონკურსზე არ მიიღება ნაწარმოები, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ან შეიცავს სიძულვილის ენის, დისკრიმინაციისა და ძალადობის წახალისებას.

მუხლი 5. განაცხადის წარდგენა

5.1. კონკურსის გამოცხადება და მონაწილეობის პირობები გავრცელდება გადაცემა „ახალი დილის“ სატელევიზიო ეთერის, მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით.

5.2. მონაწილემ კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინოს წინამებარე ბრძანებაზე თანდართული სააპლიკაციო ფორმა (იხ. ფორმა N1) შევსებული სახით, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სახელი და გვარი; ასაკი; საკონტაქტო ინფორმაცია; ნამუშევრის სათაური და კატეგორია; ნამუშევრის ელექტრონული ვერსია; არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვანის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის პირადობის ასლიც.

5.3. ნამუშევრები მიიღება ორგანიზატორების მიერ ოფიციალურად გამოცხადებულ ელექტრონულ მისამართზე akhalidila@ajaratv.ge .

5.4. განაცხადების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღებია: 2026 წლის 02 ნოემბრიდან 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი.

5.5. არასრულად შევსებული განაცხადი ან დადგენილი ვადის შემდეგ გამოგზავნილი ნამუშევარი შეიძლება არ იქნეს განხილული.
5.6. ნამუშევრის წარდგენით მონაწილე ადასტურებს, რომ გაეცნო კონკურსის დებულებას და ეთანხმება მის პირობებს.

მუხლი 6. კონკურსის ჩატარების ეტაპები

6.1.კონკურსი ჩატარდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:
ა)პირველი ეტაპი - კონკურსის გამოცხადება. გადაცემა „ახალი დილა“ საზოგადოებას გააცნობს კონკურსის მიზნებს, თემატიკას, მონაწილეობის პირობებსა და ვადებს;
ბ) მეორე ეტაპი - ნამუშევრების მიღება. ორგანიზატორები მიიღებენ და აღრიცხავენ კონკურსში წარმოდგენილ ნაწარმოებებს;
გ)მესამე ეტაპი - ტექნიკური შემოწმება. შემოწმდება განაცხადების სისრულე, ნამუშევრების შესაბამისობა დადგენილ პირობებთან და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნები;
დ) მეოთხე ეტაპი - ჟიურის შეფასება. კონკურსის ჟიური შეაფასებს ნამუშევრებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად და გამოავლენს ფინალისტებს;
ე)მეხუთე ეტაპი - ფინალისტების წარდგენა. შერჩეული ავტორები და მათი ნაწარმოებები წარდგენილი იქნება გადაცემა „ახალი დილის“ ეთერში ან მაუწყებლის მიერ შერჩეული სხვა ფორმით;
მეექვსე ეტაპი - გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება.
ვ)კონკურსის შედეგები გამოცხადდება შემაჯამებელ ღონისძიებაზე ან სპეციალურ სატელევიზიო ეთერში.
6.2.კონკურსის კონკრეტული კალენდარი წინასწარ გამოქვეყნდება ორგანიზატორების მიერ.

მუხლი 7. ჟიურის დაკომპლექტება

7.1. კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრებს შეაფასებს ორგანიზატორების მიერ დაკომპლექტებული ჟიური.
7.2. ჟიურის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ ქართველი მწერლები, პოეტები, ლიტერატურათმცოდნეები, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, პედაგოგები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები. ჟიურის წევრების მიერ გაწეული სამუშაო არ ანაზღაურდება.
7.3. ჟიურის წევრები ვალდებულნი არიან, დაიცვან მიუკერძოებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპები.
7.4. ჟიურის გადაწყვეტილება მიიღება დადგენილი შეფასების კრიტერიუმებისა და ქულების საფუძველზე.

მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები

8.1. ნამუშევრები შეფასდება 100-ქულიანი სისტემით:
ა)იდეა - 25 ქულა;

ბ)შემოქმედებითი ორიგინალურობა - 25 ქულა;
გ)ენობრივი გამართულობა და ქართული სიტყვის კულტურის დაცვა - 20 ქულა;
დ)მხატვრული ღირებულება და ემოციური ზემოქმედება - 20 ქულა;
ე)ნაწარმოების სტრუქტურა და შესრულების ხარისხი - 10 ქულა.
8.2. შეფასებისას ასაკობრივი კატეგორიების თავისებურებები გათვალისწინებული იქნება ისე, რომ მონაწილეები შეფასდნენ შესაბამისი ასაკის შემოქმედებითი შესაძლებლობების გათვალისწინებით.
8.3. ქულათა თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნამუშევარს, რომელსაც უფრო მაღალი ქულა აქვს თემასთან შესაბამისობისა და შემოქმედებითი ორიგინალურობის კრიტერიუმებში.
8.4. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა, გარდა პროცედურული დარღვევის შემთხვევებისა.

მუხლი 9. გამარჯვებულების გამოვლენა

9.1. გამარჯვებულები გამოვლინდებიან თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში.
9.2. თითოეულ კატეგორიაში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა (გარდა ჟიურის სპეციალური გადაწყვეტილებისა).
9.3. ორგანიზატორებს შეუძლიათ დააწესონ სპეციალური პრიზები შემდეგი მიმართულებებით:
ა)საუკეთესო პოეტური ნაწარმოები - (11-14 წლის კატეგორიაში);
ბ)საუკეთესო პოეტური ნაწარმოები - (15-18 წლის კატეგორიაში);
გ)საუკეთესო პროზაული ნაწარმოები -(11-14 წლის კატეგორიაში);
დ)საუკეთესო პროზაული ნაწარმოები - (15-18 წლის კატეგორიაში) .
9.4. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ორგანიზატორების მიერ განსაზღვრული სიგელებით, წიგნებით, სამახსოვრო სპეციალური საჩუქრებით ან სხვა პრიზებით.
9.5. პრიზების სახეობა, რაოდენობა და გადაცემის პირობები გამოცხადდება კონკურსის დასრულების შემდეგ.
9.6. ორგანიზატორები უფლებამოსილნი არიან, გამოაქვეყნონ ფინალისტთა სია და კონკურსის შედეგები ოფიციალური საინფორმაციო არხების საშუალებით.

მუხლი 10. საავტორო უფლებები

10.1. კონკურსზე წარმოდგენილ ნაწარმოებზე საავტორო უფლება ეკუთვნის მის ავტორს.
10.2. კონკურსში მონაწილეობა არ გულისხმობს ნაწარმოებზე საავტორო უფლებების გადაცემას მაუწყებლისათვის.
10.3. კონკურსში მონაწილეობით ავტორი მაუწყებელს ანიჭებს არაექსკლუზიურ, უსასყიდლო უფლებას, კონკურსის მიზნებისთვის გამოიყენონ ნამუშევარი გადაცემა „ახალი დილის“ ეთერში, კონკურსის შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში, ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში.
10.4. ნამუშევრის გამოქვეყნებისას ან წაკითხვისას, შესაძლებლობის ფარგლებში, მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და ნაწარმოების სათაური.

10.5. ნაწარმოების სრული ტექსტის ცალკე გამოცემის, კრებულში შეტანის ან კონკურსის მიზნებს მიღმა სხვა კომერციული გამოყენებისთვის საჭიროა ავტორის დამატებითი თანხმობა.
10.6. არასრულწლოვანი ავტორის ნაწარმოების საჯაროდ გამოყენება და მისი გამოსახულების ან ხმის გავრცელება განხორციელდება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის სათანადო თანხმობით.
10.7.კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრის ავტორობასთან, საავტორო უფლებებთან ან სხვა მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით მესამე პირთა მხრიდან რაიმე პრეტენზიის ან დავის წარმოშობის შემთხვევაში, სრული სამართლებრივი და მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს.
10.8.მაუწყებელი სრულად თავისუფლდება ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან, რაც შეიძლება მოჰყვეს მონაწილის მიერ მესამე პირთა საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევას.

მუხლი 11. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

11.1. კონკურსის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები დამუშავდება მხოლოდ კონკურსის ორგანიზების, მონაწილეებთან კომუნიკაციის, ნამუშევრების შეფასების, გამარჯვებულთა გამოვლენისა და შედეგების გამოქვეყნების მიზნით.
11.2. პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მაუწყებლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.
11.3. მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაცია არ გასაჯაროვდება მათი თანხმობის ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.
11.4. არასრულწლოვანთა მონაცემებისა და ნაწარმოებების საჯარო გამოყენებისას დაცული იქნება ბავშვთა უფლებები და კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები.

მუხლი 12.მაუწყებლის ვალდებულებები და უფლებამოსილებები

12.1. მაუწყებელი უზრუნველყოფს კონკურსის პირობების საჯაროდ გამოქვეყნებას, განაცხადების მიღებას, ნამუშევრების აღრიცხვასა და ჟიურისთვის წარდგენას.
12.2. მაუწყებელი ვალდებულია მონაწილეებს მიაწოდონ ინფორმაცია კონკურსის ეტაპების, ვადებისა და შედეგების შესახებ.
12.3. მაუწყებელი უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.
12.4. მაუწყებელი უფლებამოსილია არ დაუშვას კონკურსში ნამუშევარი, რომელიც არ აკმაყოფილებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ პირობებს.
12.5. კონკურსის პირობებში არსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია ამის შესახებ დროულად აცნობოს მონაწილეებს.

12.6. გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში მაუწყებელი უფლებამოსილია შეცვალოს კონკურსის კალენდარი ან კონკრეტული ეტაპის ჩატარების ფორმა, მონაწილეთა ინფორმირებისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

13.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს კონკურსის ძირითად მიზნებს, მონაწილეობის პირობებს, შეფასების პრინციპებსა და ორგანიზაციულ საკითხებს.

13.2. ჟიურის შემადგენლობა, პრიზები და სხვა ტექნიკური პირობები დამატებით განისაზღვრება მაუწყებლის მიერ.

13.3. სააპლიკაციო ფორმის წარდგენითა და ხელმოწერით აპლიკანტი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე დებულებას და ეთანხმება მას. არასრულწლოვნის შემთხვევაში სააპლიკაციო ფორმასა და თანხმობაზე ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი.

13.4. დებულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის
2026 წლის 31 ოქტომბრის N02-09/71 ბრძანების

ფორმა N1

ლიტერატურული კონკურსის სააპლიკაციო ფორმა

(ეძღვნება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემიდან 150 წლისთავს)

საყურადღებო ინფორმაცია:

- ✓ განაცხადის შევსებამდე გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ლიტერატურული კონკურსის დებულებას, რომელიც განთავსებულია მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე;
- ✓ სააპლიკაციო ფორმის წარდგენით თქვენ ადასტურებთ კონკურსში მონაწილეობის სურვილს და ეთანხმებით დებულების პირობებს;
- ✓ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს 18 წლის ჩათვლით;
- ✓ საკონკურსო ნამუშევარი უნდა იყოს ავტორის ორიგინალური შემოქმედება;
- ✓ ხელოვნური ინტელექტის მიერ სრულად გენერირებული ნაწარმოები კონკურსში არ დაიშვება;
- ✓ შევსებული აპლიკაცია, საკონკურსო ნამუშევარი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არასრულწლოვნის შემთხვევაში - ასევე კანონიერი წარმომადგენლის პირადობის ასლი) გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე: akhalidila@ajaratv.ge (2026 წლის 02 ნოემბრიდან 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში);
- ✓ ელექტრონული წერილის სათაურის (Subject) ველში მიუთითეთ: „ლიტერატურული კონკურსი - აპლიკანტის სახელი და გვარი;
- ✓ არასრულად შევსებული ან ვადის დარღვევით წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება;
- ✓ საკონკურსო ნამუშევარი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

I. ინფორმაცია მონაწილის შესახებ

1. სახელი და გვარი:	_____
2. დაბადების თარიღი	_____ / _____ / _____
3. ასაკი (განაცხადის წარდგენისას):	_____ წელი
4. პირადი ნომერი:	_____
5. საცხოვრებელი ქალაქი / მუნიციპალიტეტი:	_____
6. სკოლა / უნივერსიტეტი /	_____

საგანმანათლებლო დაწესებულება:	
7. ავტორის საკონტაქტო ტელეფონი	_____
8. ავტორის ელექტრონული ფოსტა	_____

II. საკონკურსო ნამუშევრის შესახებ

9. ნაწარმოების სათაური: _____

10. საკონკურსო მიმართულება (მონიშნეთ შესაბამისი):

☐ პოეზია ☐ პროზა ☐ ესე

11. ასაკობრივი კატეგორია (მონიშნეთ შესაბამისი):

☐ I კატეგორია - 11–14 წელი

☐ II კატეგორია - 15–18 წელი

12. წარმოდგენილი ნამუშევრების რაოდენობა და ფორმატი:

☐ ნამუშევარი/ნამუშევრები თანდართულია ელექტრონული ფაილის სახით (Word / PDF) (შენიშვნა: თითოეულ მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს არაუმეტეს 3 ნამუშევარი)

III. მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა (არასრულწლოვანის შემთხვევაში)

(შეივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე არის 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირი)

მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი:	_____
პირადი ნომერი:	_____
სამართლებრივი კავშირი:	☐ მშობელი ☐ მეურვე / მზრუნველი
საკონტაქტო ტელეფონი:	_____
ელექტრონული ფოსტა:	_____

მე, ზემოაღნიშნული მშობელი / კანონიერი წარმომადგენელი, ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ ჩემმა შვილმა / სამეურვეო პირმა მონაწილეობა მიიღოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ კონკურსში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პირობებით.

IV. თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და საავტორო/მომიჯნავე უფლებებზე

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კონკურსის დებულების შესაბამისად, გთხოვთ, გაეცნოთ და შესაბამისი ველების მონიშვნით (☑) დაადასტუროთ თანხმობა თქვენი (ან თქვენი არასრულწლოვანი შვილის/სამეურვეო პირის) მონაცემების დამუშავებაზე:

☐ **საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემთა დამუშავება:** ვაცხადებ თანხმობას, რომ მაუწყებელმა დაამუშაოს ჩემი / ჩემი არასრულწლოვანი შვილის (სამეურვეო პირის) სახელი, გვარი, ასაკი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, საკონტაქტო ტელეფონი, ელ-ფოსტა და სასწავლო დაწესებულება მხოლოდ კონკურსის ორგანიზების, მონაწილეთა აღრიცხვის, შეფასების, შედეგების შეჯამებისა და საკომუნიკაციო მიზნებისათვის.

☐ **საკონკურსო ნამუშევრისა და საავტორო უფლებების გამოყენება:** ვაცხადებ თანხმობას, რომ საკონკურსო ნამუშევარი (პოეზია/პროზა) უსასყიდლოდ და არაექსკლუზიური უფლებით გამოყენებულ იქნეს მაუწყებლის მიერ გადაცემა „ახალი დილის“ სატელევიზიო ეთერში, ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და კონკურსის შემაჯამებელ სიუჟეტებში/ღონისძიებებში ავტორის სახელის, გვარისა და ნაწარმოების სათაურის მითითებით.

☐ **ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალების დამუშავება და გავრცელება:** ვაცხადებ თანხმობას, რომ კონკურსის ეტაპების, გადაცემის ჩანაწერების, ფინალისტთა წარდგენისა და დაჯილდოების ცერემონიის მსვლელობისას განხორციელდეს ჩემი / ჩემი არასრულწლოვანი შვილის (სამეურვეო პირის) ფოტო/ვიდეო/აუდიო გადაღება, გამოსახულების და ხმის ჩაწერა და აღნიშნული მასალების გავრცელება მაუწყებლის სატელევიზიო ეთერით, ოფიციალური ვებგვერდითა და სოციალური მედიის არხებით კონკურსის პოპულარიზაციის მიზნით.

☐ **კონკურსის შედეგების, ვინაობისა და ფოტოსაჯაროობა:** ვაცხადებ თანხმობას, ფინალში გადასვლის ან გამარჯვების შემთხვევაში, მაუწყებლის ოფიციალურ საინფორმაციო რესურსებსა და მედია საშუალებებში გამოქვეყნდეს მონაწილის სახელი, გვარი, ასაკობრივი კატეგორია, ფოტო და საკონკურსო ნამუშევარი/შედეგი.

V. განცხადება და ხელმოწერა

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია უტყუარია. გაცნობილი ვარ კონკურსის დებულებას, სრულად ვეთანხმები მის პირობებს და ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ნამუშევარი არის ორიგინალური. მესამე პირთა მხრიდან საავტორო ან მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული პრეტენზიების წარმოშობის შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება აპლიკანტს.

აპლიკანტის ხელმოწერა:

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ / _____ / 2026 წ.

მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა:

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ / _____ / 2026 წ.